მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტსა და თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს შორის

მემორანდუმი

27 აპრილის 2018 წელი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი წარმოდგენილი მისი აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის დავით კერესელიძის სახით და თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი), წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის ვალენტინა საყვარელიძის მიერ, (შემდგომში – მხარეები) თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობის შემდეგ პირობებზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთთანამშრომლობა.

2. მემორანდუმის მიზანი დ ამოცანები:

2.1. მხარეების მიზანია საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ხარისხიანი უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობა.

2.2. მხარეები მიზნად ისახავენ ამ მემორანდუმის ფარგლებში განახორციელონ ერთობლივი პროექტები და პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას, მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრების მომზადებას.

2.3. მხარეები თანხმდებიან, რომ დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა ერთი მხრივ უნივერსიტეტების აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, ხოლო მეორე მხრივ პოტენციურ დამსაქმებელთა სწავლების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა.

3. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

3.1 მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი პროგრამების, აგრეთვე ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, კანონმდებლობის შესაბამისად;

3.2 წინამდებარე მემორანდუმში სათაურებს აქვს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი და არ იქონიებს გავლენას მემორანდუმის განმარტებაზე. თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანის იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე.

4. დასკვნითი დებულებები

4.1 წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად;

4.2 მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 3 წლის ვადით.

4.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ მემორანდუმი.

მხარეთა რეკვიზიტები:

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო	**ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი**
მის: ბერი გაბრიელ სალოსის გამზ №53	მის: ევგენი მიქელაძის ქ. 1ა 0159 თბილისი,
საქართველო ქ. თბილისი, 0113	
ტელ: (+995 32) 2 54 59 08	ტელ: (+995 32) 24 24 440
ელ–ფოსტა: thu-posta@thu.edu.ge	ელ-ფოსტა: info@newvision.ge
ვებ–გვერდი: thu.edu.ge	ვებ–გვერდი: http://www.newvision.ge